სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №95

ქ.ქუთაისი 23 მაისი 2018წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, ასრულებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 „საქონელი" წინამდებარე ხელშეკრულების №3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.2.6 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია"-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანა ცუცქირიძის სახით**(შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ **ი/მ „რამაზ აბულაძი"-ს სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10-1 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი

3.1. **ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია"-ს მიერ საკვები პროდუქტების (03142500 - კვერცხი 03221000 - ბოსტნეული 03222000 - ხილი და თხილეული 15110000 - ხორცი 15330000 - გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული 15421000 - რაფინირებული ზეთი 15540000 - ყველის პროდუქტები 15530000 - კარაქი 15511000 - რძე 15610000 - დაფქული მარცვლეული პროდუქტები 15890000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი და მშრალი პროდუქტები)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2 გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი მოცემულია დანართ №1 –ში რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **962,44 ლარს.**

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 "მიმწოდებელმა" **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია"-სთვის საკვები პროდუქტების (03142500 - კვერცხი 03221000 - ბოსტნეული 03222000 - ხილი და თხილეული 15110000 - ხორცი 15330000 - გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული 15421000 - რაფინირებული ზეთი 15540000 - ყველის პროდუქტები 15530000 - კარაქი 15511000 - რძე 15610000 - დაფქული მარცვლეული პროდუქტები 15890000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი და მშრალი პროდუქტები) მიწოდება უნდა განახორციელოს 2018 წლის 25 მაისის ჩათვლით.**

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურეობის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადების) გამოწერიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურეობის მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთა შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია"-ს შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე, ხოლო საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე

უფლებამოსილია ამავე კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 221 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი-მთავარი ბუღალტერი-კომისიის თავმჯდომარე, ბერიკა უშვერიძე-მატერიალუეი რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი-კომისიის წევრი, ინეზა ზაქარიაძე-პედაგოგი-კომისიის წევრი, რუსუდან ხაბულიანი-ლოჯისტიკის სპეციალისტი.)

7.3. შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო(წუნდებული),არასათანადოდ შეფუთული, საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

7.5. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.6. ამ მუხლის 7.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს მომსახურეობის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

9.1.1. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა.

9.1.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებულ ვადებში და ადგილზე.

9.1.3. გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურეობა.

9.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.

9.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.1.6. მიმწოდებელს შეუძლია გააფორმოს ქვე-კონტრაქტი, მაგრამ არ შეუძლია გადასცეს ხელშეკრულება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვე-კონტრაქტი არ ცვლის მიმწოდებლის ვალდებულებებს ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

9.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**

9.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულებით განსაზღვრული თანხის 5%-ის ოდენობით

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 1 სექტემბრამდე.**

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

16.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

16.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ფორს-მაჟორი

17.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

17.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

17.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

20. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“
მის: ქ ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის ქ.№61/ნიკეას N12
საიდენტიფიკაციო კოდი: № 212682051
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი:TRESGE22
სახაზინო კოდი: 709137509

ანა ცუცქირიძე

„მიმწოდებელი“

ი/მ „რამაზ აბულაძე“
მის: სოფ. კვახჭირი
ს/კ: 60001075593
ა/ნ:GE19BG0000000848959600
მფო BAGAGE22
„ ს/ს საქართველოს ბანკი“

რამაზ აბულაძე

დანართი N1

	დასახელება	განზ.	რაოდ	ერთ.ფასი	ჯამი	CPV
1	კარტოფილი	კგ	10	1.2	12	03221000
2	ახალი კარტოფილი	კგ	5	2	10	03221000
3	ხახვი	კგ	8	1.2	9.6	03221000
4	ნიორი	კგ	1	8	8	03221000
5	სტაფილო	კგ	3	2	6	03221000
6	ბადრიჯანი	კგ	4	4	16	03221000
7	ბულგარული	კგ	2	5	10	03221000
8	პამიდორი	კგ	3	4	12	03221000
9	კიტრი	კგ	3	3.5	10.5	03221000
10	ჭყ. ლობიო	კგ	2	3	6	03221000
11	სოკო (ცოცხალი)	კგ	4	8	32	03221000
12	წთ. ფხალი	კგ	3	2	6	03221000
13	ოხრახუში	კგ	1	7	7	03221000
14	ქინძი	კგ	1	7	7	03221000
15	ცერეცო	კგ	1	7	7	03221000
16	ტარხუნა	კგ	0.5	10	5	03221000
17	მწ. ხახვი	კგ	1	8	8	03221000
18	წიწაკა (პარკი)	კგ	0.3	1.5	0.45	03221000
19	ბოლოკი	კგ	2	2	4	03221000
20	მწ. სალათა	კგ	3	3	9	03221000
21	ვაშლი	კგ	5	3	15	03222000
22	ფორთოხალი	კგ	3	3.5	10.5	03222000
23	ბროწეული	კგ	1	7	7	03222000
24	კივი	კგ	1	3	3	03222000
25	ბანანი	კგ	1	4	4	03222000
26	ლიმონი	ცალი	5	0.5	2.5	03222000
27	ბრინჯი ყავისფერი	კგ	0.5	3	1.5	03221000
28	შვრიის ფანტელი	კგ	1	2.5	2.5	03221000
29	ნიგოზი	კგ	3	30	90	03222000
30	ღორის ხორცი	კგ	3	12	36	15110000
31	ქათმის ფილე	კგ	3	9	27	15110000
32	შაშხი (ბუნებრ.შებოლილი)	კგ	1	20	20	15110000
33	ბეკონი	კგ	1	20	20	15110000
34	ძეხვი ნ/შებოლილი	კგ	3	12	36	15110000
35	სოსისი ტკაცუნა	კგ	3	11	33	15110000
36	კვერცხი	ცალი	100	0.3	30	03142500
37	ქიშმიში	კგ	1	7	7	15330000
38	ბარდა (400გრ)	კგ	0.5	7.49	3.75	15330000
39	ანანასის კომპოტი (800გრ)	კგ	3	4	12	15330000
40	სოკო ქილის	კგ	3.4	3.5	11.9	15330000
41	კეტჩუპი	კგ	0.9	8	7.2	15330000
42	სიმინდის კონსერვი (425გრ)	კგ	0.85	4	3.4	15330000
43	ჩირი გარგრის	კგ	0.5	15	7.5	15330000

44	ჩირი ქლიავის	კგ	0.5	20	10	15330000
45	ზეთისხილი უკურკო(390გრ)	კგ	0.78	8	6.24	15330000
46	მჟავე კიტრი (580გრ)	კგ	0.58	4	2.32	15330000
47	შავი პილპილი (100გრ)	კგ	0.01	20	0.2	15330000
48	ცუკატი ტროპიკული ხილის	კგ	0.5	17	8.5	15330000
49	ზეთი მზესუმზირის	ლიტრი	1	3.5	3.5	15421000
50	სიმინდის ზეთი	ლიტრი	4	6	24	15421000
51	მარგარინი (250კგ)	კგ	1	5.6	5.6	15431100
52	არაჟანი(500გრ15%)	კგ	1	6	6	15540000
53	რძე (1ლ 25%)	ლიტრი	3	4	12	15511000
54	ყველი იმერული	კგ	4	9	36	15540000
55	სულგუნი	კგ	3	16	48	15540000
56	სულგუნი შებოლილი	კგ	2	18	36	15540000
57	მაწონი (500გრ)	კგ	2	4	8	15540000
58	იოგურტი	კგ	1	4	4	15540000
59	ნაღები (1000გრ)	კგ	2	15	30	15540000
60	კარაქი	კგ	2	9	18	15530000
61	პ/ფქვილი (უმ.ხარ.2კგ)	ცალი	10	3.5	35	15610000
62	მჭადის ფქვილი (გაცრილი)	კგ	5	2	10	15610000
63	შაქარი	კგ	10	1.7	17	15890000
64	ყავა უნალექო (200გრ)	კგ	0.4	80	32	15890000
65	ჩაი შავი (25ც)	ცალი	1	3.5	3.5	15890000
66	ჩაი მწვანე	ცალი	1	3.5	3.5	15890000
67	ძმარი	ლიტრი	1	2.5	2.5	15890000
68	ბალზამიკო	ლიტრი	0.5	15	7.5	15890000
69	მარილი(1კგ)	კგ	2	0.8	1.6	15890000
70	საფუარი (80გრ)	კგ	0.16	18	2.88	15890000
71	მაიონეზი (900გრ)	კგ	1.8	6	10.8	15890000
72	სოდა (500გრ)	კგ	0.5	3	1.5	15890000
					962.44	

„შემსყიდველი“

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“
მის: ქ ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის ქ.№61—
საიდენტიფიცაციო კოდი: № 212682051
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი:**TRESGE22**
სახაზინო კოდი: 709137509

ანა ცაცანაშვილი

„მიმწოდებელი“

ი/მ „რამაზ აბულაძე“
მის: სოფ. კვახჭირი
ს/კ: 60001075593
ა/ნ:**GE19BG0000000848959600**
მფო **BAGAGE22**
„ ს/ს საქართველოს ბანკი“

რამაზ აბულაძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-სთვის საკვები პროდუქტების (03142500 - კვერცხი 03221000 - ბოსტნეული 03222000 - ხილი და თხილეული 15110000 - ხორცი 15330000 - გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული 15421000 - რაფინირებული ზეთი 15540000 - ყველის პროდუქტები 15530000 - კარაქი 15511000 - რძე 15610000 - დაფქული მარცვლეული პროდუქტები 15890000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი და მშრალი პროდუქტები) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ა.ცუცქირიძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/

ი/მ „რამაზ აბულაძე“